

განმარტებითი ბარათი
„სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი: კანონპროექტი წარმოადგენს „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის თანხმლებ კანონპროექტს. თავდაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირებში შეუძლებელია სამხედრო სამსახურის გავლა. დასაზუსტებელია სამხედრო მოსამსახურეთა დაზღვევის საკითხები.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი: „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის პირველი, მე-11 და მე-17 მუხლების შესაბამისობაში მოყვანა „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“. თავდაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირებში შესაძლებელი გახდეს სამხედრო სამსახურის გავლა და დაზუსტდეს სამხედრო მოსამსახურეთა დაზღვევის საკითხები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი: „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონში იცვლება ტერმინები (ტერმინი „კურსანტი“ – ტერმინით „მსმენელი“). იხვეწება სამხედრო მოსამსახურის დაზღვევის საკითხები. თავდაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირებში შესაძლებელია სამხედრო სამსახურის გავლა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: კანონპროექტი არ იწვევს სახელმწიფო საბიუჯეტო ხარჯების ზრდას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე: კანონპროექტი ზეგავლენას არ ახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე: კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო საბიუჯეტო ხარჯების ზრდას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები: კანონპროექტი არ იწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება: კანონპროექტი მაქსიმალურად მიმართულია, რომ არ გამოიწვიოს უარყოფითი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი): კანონპროექტით არ განისაზღვრება რამე ახალი გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის ღირეკტივებთან: კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის ღირეკტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან: კანონპროექტი არ შეეხება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან: კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში: კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ სხვა ორგანიზაციებს/კონსულტანტებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში: კანონპროექტი არ შეფასებული სხვა ორგანიზაციების/კონსულტანტების მიერ.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.